

ევროკომისიის “საქართველოს პროფესიული განათლებისა და მომზადების სექტორის
მხარდაჭერის პროგრამის” სამეთვალყურეო საბჭოს
სხდომის ოქმი

2011 წლის 03.08. 15 სთ.

სხდომის დღის წესრიგი:

1. სხდომის გახსნა, საბჭოს მუშაობის ფორმატის განსაზღვა და მანდატის ჩამოყალიბება - დიმიტრი შაშკინი, საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი;
2. “საქართველოს პროფესიული განათლებისა და მომზადების სექტორის მხარდაჭერის პროგრამის” განხორციელების ანგარიშის წარდგენა - თამარ სამხარაძე, ზოგადი და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის პროფესიული განათლების განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
3. საბჭოს წევრთა მოსაზრებები და შეფასებები პროგრამის მიმდინარეობის შესახებ;
4. სხდომის შეჯამება და დახურვა.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. დიმიტრი შაშკინი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი; საბჭოს თავმჯდომარე
2. ირინე ქურდაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე;
3. კონსტანტინე კინწურაშვილი - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი;
4. ბორის იაროშევიჩი - ევროკომისიის დელეგაციის წარმომადგენელი;
5. ოლივერ რეისნერი - ევროკომისიის დელეგაციის წარმომადგენელი;
6. ანი ქიტიაშვილი - ევროკომისიის დელეგაციის წარმომადგენელი;
7. დავით კერესელიძე - სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;
8. გია მამულაშვილი - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი;
9. კონსტანტინე ხმალაძე - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელი;
10. დავით ლომიძე - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი;

11. ლალი ღოღობერიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენელი;
12. ნათია ჯოხაძე - სსიპ ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის დირექტორი;
13. თეა კვინტრაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;
14. თამარ სამხარაძე - პროფესიული განათლების განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
15. მაკა კურდღელია - პროფესიული განათლების განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;

სხდომა გახსნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, დიმიტრი შაშკინმა და მოწვეულ სტუმრებს გააცნო სამეთვალყურეო საბჭოს ჩამოყალიბების მიზანი. აღინიშნა, რომ საბჭომ უნდა განახორციელოს კონტროლი ევროკომისიის „საქართველოს პროფესიული განათლების სექტორული დახმარების პროგრამის“ შესრულებაზე; ამისათვის სამეთვალყურეო საბჭო შეიკრიბება წელიწადში მინიმუმ ორჯერ და განიხილავს პროგრამის განხორციელების პროგრესს. სამეთვალყურეო საბჭომ უნდა განსაზღვროს შესაძლო სიძნელეები ტრანშის გამოყოფის პირობების შესრულებაში და დროულად დასახოს მათი გადაჭრის გზები; ასევე, გარეგანი ფაქტორებისა და გარემოებების გათვალისწინებით, საბჭომ შეიძლება ევროკომისიას შესთავაზოს ცვლილებები პროგრამის განხორციელებაში.

ქ-ნმა ირინე ქურდაძემ აღნიშნა, რომ ანგარიში, რომელსაც სამინისტრო დღეს წარმოადგენს მომზადდა მათში მონიტორინგის მისიის ჩამოსვლამდე, შესაბამისად, იგი არ არის ტრანშის შესრულების მდგომარეობის ამსახველი საბოლოო დოკუმენტი, რადგან სექტემბრის თვისთვის დასრულდება მუშაობა იმ ხარვეზებზე, რომლებიც დაფიქსირდა მონიტორინგის ექსპერტების მიერ და ანგარიშიც შეივსება დამატებითი ინფორმაციით.

ამის შემდეგ, პროფესიული განათლების განვითარების სამმართველოს თანამშრომლის, თამარ სამხარაძის მიერ წარმოდგენილ იქნა “საქართველოს პროფესიული განათლებისა და მომზადების სექტორის მხარდაჭერის პროგრამის” განხორციელების ანგარიში, კერძოდ გაკეთდა მოხსენება მეორე ტრანშის პირობების შესრულების შესახებ. მათ შორის, განხილულ იქნა

პროგრამის ის საკითხები/პირობები, რომელთა საბოლოო შესრულებაც მეორე ტანშის ვადებში ვერ ხერხდება და მოსალოდნელია მხოლოდ შუალედური შედეგი.

განხილვაში აქტიურად ჩაერთო ევოკომისიის წარმომადგენლობაც, რომლის მხრიდანაც აქცენტები გაკეთდა იმ საკითხებზე, რომლებზეც განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილოს სამინისტრომ.

სხდომის შეჯამების დროს დიმიტრი შაშკინმა აღნიშნა, რომ სამეთვალყურეო საბჭოს მორიგი შეკრება დაგეგმილია წლის მეოთხე კვარტალში რა დროსაც უკვე იარსებებს სრულყოფილი სურათი პროგრამის შესრულების, შეფასებისა და საკვანძო საკითხების შესახებ.

საბჭოს წევრები შეთანხმდნენ:

1. პროგრამაში ჩართული და დაინტერესებული მხარეები დეტალურად გაეცნობიან პროგრამით გათვალისწინებული პირობების შესრულების მდგომარეობას და სამინისტროს მოაწვდიან შესაბამის წინადადებებსა და რეკომენდაციებს ;
2. სამინისტრო უზრუნველყოფს მაქსიმალურ საჯაროობას ყველა დაინტერესებული მხარისათვის როგორც მთლიანად პროგრამის განხორციელების შესახებ, ასევე პროგრამის ცალკეულ კომპონენტებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

სხდომის თავმჯდომარე:
დიმიტრი შაშკინი

სხდომის მდივანი:
მაკა კურდღელია